საზაფხულო სკოლა დოქტორანტებისთვის

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტმა 2016 წლის 22–26 ივლისს გამართა საზაფხულო სკოლა დოქტორანტებისათვის. საზაფხულო სკოლის მიზანია იყო გაეუმჯობესებინა დოქტორანტების უნარ-ჩვევები სწავლების, კვლევისა და გამოქვეყნების მიმართულებით. პროგრამაში მონაწილეობდა 20–მდე დოქტორანტი როგორც სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან, ისე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვა ფაკულტეტებიდან და საქართველოს სხვა უნივერსიტეტებიდან.

საზაფხულო სკოლის ფარგლებში დოქტორანტებმა გაიღრმავეს ცოდნა ისეთ საკითხებში, როგორიცაა **კვლევის დიზაინი; სტატიის დიზაინი და სტრუქტურა, სტატიის გამოქვეყნება; რაოდენობრივი კვლევის მეთოდები: შერჩევა და სკალები; გამოკითხვა, კითხვარი, კითხვის ტიპები; მონაცემთა მომზადება ანალიზისათვის; SPSS-ის ჩარჩოს შექმნა; SPSS–ის ჩარჩოში მონაცემების შეყვანა და გაწმენდა; მონაცემთა ერთგანზომილებიანი და ორგანზომილებიანი ანალიზი; სწავლების მეთოდები; ფაქტორული ანალიზი.** ასევე ჩატარდა **პრაქტიკული მეცადინეობები სადოქტორო ნაშრომების საფუძველზე,** რასაც, საერთო ჯამში, 30 აკადემიური საათი დაეთმო.



ფაკულტეტის დეკანმა, ასოცირებულლმა პროფესორმა თამარ დოლბაიამ დოქტორანტებს ასევე გააცნო სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის რესურსები ახალგაზრდა მკვლევართათვის.

საზაფხულო სკოლის მონაწილეებს გადაეცათ **სერტიფიკატები და ელექტრონული სასწავლო მასალა.**